

## ციალა ჩხარტიშვილი

„მიწიდან ყვავის ამოთხრა პრეზიდენტისთვის პეტიციის გაგზავნაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია“.<sup>1</sup>

**ავტორი:** ქრისტინე მალლაკელიძე

დილით ვიდრე სამსახურში წავალ, რომელიმე საინფორმაციო გამოშვებას ვნახულობ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ყველაფერი მაბრაზებს, რასაც ტელევიზორში ვუყურებ, მაინც ვერ ვუძლებ ცდუნებას, ვიცოდე რა ხდება სახელმწიფოში. იმ დილით მთავარ ნიუსად პრეზიდენტის მრჩევლის დანიშვნა გაუშვეს. გამოაცხადეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, აუცილებლად უნდა დახმარებოდნენ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვას და მათ ინტეგრაციას ქართველებთან. ამისთვის პრეზიდენტმა აიყვანა მრჩეველი. ვიფიქრე, რომ ეს კარგია, მოგვიანებით გავიგე, რომ ეს მრჩეველი ქალია, ვიფიქრე, რომ ეს კიდევ უკეთესია. მრჩეველ ქალს წარმატება ვუსურვე და სამსახურისკენ გავემურე. გზაში ვფიქრობდი, რისი გაკეთება შეეძლო მას და საიდან დავიწყებდი მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი. ბევრი ფიქრის, რაღაცების გახსენების, გაანალიზებისა და ერთმანეთთან დაკავშირების შემდეგ, სამსახურშიც მივედი და უკვე ამ ახლად დანიშნული მრჩევლის იმედიც აღარ მქონდა იმ საქმის წარმატებით განხორციელებაში, რისთვისაც ის სამსახურში აიყვანეს.

სამსახურში მისულს მითხრეს, რომ ამჯერად ბოშათა დასახლებაში წავიდოდი და იქ მცხოვრებ ადამიანების ერთ ნაწილს დავარეგისტრირებდი და მეორე ნაწილს რეგისტრაციიდან მოვხსნიდი. ჩემს სამუშაო ნივთებს თავი მოვუყარე და ბოშათა დასახლებაში გავემურე. ერთი თვის ერთად მუშაობის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ჩემმა მძღოლმა მანქანის გაჩერების შემდეგ ფანჯრები ამოსწია, მანქანის კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა და უკან გამომყვა (მისი ამგვარი ქცევა მხოლოდ იმაზე მეტყველებდა, რომ ყველა იმ უარყოფით სტერეოტიპს იზიარებდა, რაც ბოშების შესახებაა გავრცელებული). ქუჩიდან პირველ ეზოში შევედი, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, ქალები სარეცხს ფენდნენ, მამაკაცი კი მანქანის შეკეთებას ცდილობდა. ჩვენს დანახვაზე მოულოდნელად კადრი გაშეშდა, ყველამ შეწყვიტა იმ საქმის კეთება, რითიც ჩვენს მისვლამდე იყო დაკავებული, ქალები და ბავშვები სახლში შეცვივდნენ, მამაკაცი კი გაკვირვებული სახით და დიდი მძიმე ნაბიჯებით ჩვენკენ გამოემურა. მივესალმე, ჩემი სამუშაოს შესახებ მოვუყევი და ვთხოვე თავდაპირველად საკუთარი სახელი და გვარი, მოგვიანებით კი მისი ოჯახის წევრების ეთქვა. მითხრა, რომ არაფრის თქმას არ აპირებდა და თუ მათ შესახებ რაიმე მაინტერესებდა, ციალასთვის მიმემართა. რამდენჯერმე შევეცადე ახსნას, რომ არავის დახმარება არ იყო ამისთვის საჭირო, თუმცა აღარ მისმენდა და მხოლოდ იმას იმეორებდა, რომ მისგან ვერანაირ ინფორმაციას წავიღებდი და ციალას დაკავშირებოდი. მოგვიანებით, ჩვენი საუბრის დროს რამდენიმე მეზობელიც შემოგვიერთდა, როგორც აღმოჩნდა, არც ისინი აპირებდნენ ციალას გარეშე ჩემთან კომუნიკაციას. უფრო მეტი დროის გაშვების უფლებას სამსახური აღარ მაძლევდა და მეც დაუყოვნებლივ ბოშების წინამძღოლობით ციალასთან

<sup>1</sup> მილან კუნდერა, “ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“

გავეშურე. ძალიან უცნაურად ვგრძნობდი თავს, შერეული ემოციებით ვიყავი სავსე. ცოტა მეშინოდა, ცოტაც მწყინდა, თან მითიური ქალის გაცნობის ინტერესი მკლავდა. გონებაში ციალას სახეზე შევქმენი. წარმოვიდგინე, როგორი შეიძლება ყოფილიყო ქალი, რომელსაც ბოშათა დასახლების მაცხოვრებლების აბსოლიტური უმრავლესობა იცნობდა, ენდობოდა, პატივს სცემდა და ყველაზე უცნაური - ემორჩილებოდა.

იქ მისულს კი თეთრი, მოკლედ შეკრეჭილი თმით და ცისფერი, ცოცხალი კეთილი თვალებით ანთებული 80 წლის მოხუცი ქალი დამხვდა, რომელსაც როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინე, მიუხედავად მისი ასაკისა, ყველაზე შორსმომავალი და კონკრეტული გეგმები აქვს, ვისაც კი აქამდე შევხვედრილვარ. ეს გეგმები კი უკავშირდება ბოშების გაძლიერებას და ინტეგრაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ინტეგრაციის შესაძლებლობას კი ყველაზე მეტად განათლებაში ხედავს. ბოშა ბავშვების სკოლაში შეყვანა ძალიან რთულია, რადგანაც მათ მშობლებს არა აქვთ პირადობის და დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამიტომ ციალას თავდაპირველად უწევს, მშობლები დაარწმუნოს დაბადების და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაკეთების საჭიროებაში, რაც ძალიან რთულია, რადგან მათ საკუთარი დაბადების თარიღები ზუსტად არ იციან და ვიღაცის გარდაცვალების თარიღს ან სხვა მნიშვნელოვან დღეს უკავშირებენ. მშობლებისთვის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტების შექმნის შემდეგ ბავშვების ჯერიც დგება. ბოლოს კი ისინი სკოლებში კი არ მიდიან, გარბიან. ეს კი საკუთარი თვალით რომ არ მენახა, ასე განსაკუთრებით არ აღვნიშნავდი. ეს ბრძოლა და მუშაობა, რომელსაც ერთი ბავშვის სკოლაში გაშვება მოითხოვს და რომლის გადმოცემაც 3 წინადადებითაც კი შესაძლებელია, ძალიან ბევრ ენერჯიას, დროს და მონდომებას საჭიროებს. ამ ყველაფერს საკუთარ თავზე ციალა იღებს. ზემოთ, როდესაც შორსმომავალი და კონკრეტული გეგმები ვახსენე - ეს მართლაც ასეა. მაგალითისთვის, ციალამ იცის, რომ თუ გასულ წელს სკოლაში 5 ბავშვის გაშვება მოახერხა, წელს ეს რაოდენობა 10-მდე უნდა გაზარდოს.

ერთადერთი რამ, რაც ახლა აწუხებს, არის მემკვიდრე, რომელიც მის საქმეს გააგრძელებს და ვინც ჯერ ვერ გამოზარდა. ასევე დარდობს ფერების გამო, რომელიც ნელ-ნელა ბოშა ქალების ჩაცმულობიდან ქრება.

ციალამ მასწავლა, რომ შენ ხარ ის, რასაც აკეთებ და არა ის, რასაც ამბობ, რომ გააკეთებ. ციალა, ისევე როგორც ზოგადად ადამიანი რამდენიმე განსხვავებული იდენტობის მატარებელია, თუმცა მათ შორის ერთი აუცილებლად არის ლიდერი ქალი. ქალი, რომელიც დღეს, აქ და ახლა განათლების გზით აძლიერებს ინტეგრაციას.

დასასრულს კი დასაწყისში მიღან კუნდერას სიტყვების გამოყენების საჭიროებასაც ავხსნი.

წიგნში ამ სიტყვებს კონკრეტული კონტექსტი გააჩნია, ზოგადად კი ის საუკეთესო შემთხვევაში მიმართულია კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისკენ, რომლებიც ხედავენ პრობლემას, აქვთ პროტესტის გრძნობა და უნდათ პრობლემის მოგვარება. ამ კრიტიკულად მოაზროვნე ჯგუფიდან გამოიყოფა ადამიანების ნაწილი, რომლებიც პრობლემის მოსაგვარებლად ეძებენ და პოულობენ თანამოაზრეებს, რათა მოგვიანებით პრობლემის მოსაგვარებლად მიმართონ

ხელისუფლებას. მიხედვით ხომ, ცილა ამ ჯგუფში არ შედის. ცილა ალბათ უფრო იმ ადამიანების ჯგუფის სათავეშია, რომლებიც ხელისუფლებას არ ელოდება და საკუთარი ხელებით თხრის მიწიდან ყვავს.